სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080136431320218

№ 1766 **25 / ივლისი / 2018 წ.**

ქალაქ თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობისთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2018 წლის 23 ივლისს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ქალაქ თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობის SMP180001562 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს, თმოგვის ქუჩა მე-2 შეს. № 23-ის მიმდებარედ გზის დამჭერი საყრდენი კედლის სამუშაოების საპროექტო მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოების (CPV- 71300000 - საინჟინრო მომსახურებები; 45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები) შესყიდვას.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, თმოგვის ქუჩა მე-2 შეს. №23-ის მიმდებარედ, გზის დამჭერი საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოების მიმდინარეობისას მოსულმა უხვმა ნალექმა, სავალ ნაწილზე გააჩინა ნაპრალები და შეიქმნა მეწყერსაშიში მდგომარეობა, რამაც გამოიწვია დამატებითი გამაგრებითი სამუშაოების წარმოების აუცილებლობა. შესაბამისად, შეუძლებელი გახდა არსებული საპროექტო დოკუმენტაციით გზის დამჭერი საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოების გაგრძელება.

შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების დადგომა გამოიწვია, უხვმა ნალექმა, რომლის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელი იყო. აღსანიშნავია, რომ შექმნილი ვითარება მნიშნელოვან ზიანს აყენებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებს, ვინაიდან, არსებობს 200 კუბ.მ მიწის მოწყვეტის საშიშროება, რის შედეგადაც შესაძლოა დაიმარხოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლები, ხოლო, ზედა დონეზე არსებულ სახლებს, გამოეცლება საფუძველი და შეიქმნება ნგრევის საშიშროება. შესაბამისად, საჭიროა შესყიდვა განხორციელდეს დროულად.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების დადგომა გამოიწვია, უხვმა ნალექმა, რომლის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელი იყო. აღსანიშნავია, რომ შექმნილი ვითარება მნიშნელოვან ზიანს აყენებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებს, ვინაიდან, არსებობს 200 კუბ.მ მიწის მოწყვეტის საშიშროება, რის შედეგადაც შესაძლოა დაიმარხოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლები, ხოლო, ზედა დონეზე არსებულ სახლებს, გამოეცლება საფუძველი და შეიქმნება ნგრევის საშიშროება. შესაბამისად, საჭიროა შესყიდვა განხორციელდეს დროულად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოცემული შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1.დაკმაყოფილდეს ქალაქ თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობის SMP180001562 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ხელმოწერილია/შტამპადასმულია ელექტრონულად კახი დემეტრაშვილი